№ 349. ხუთშაბათი, 23 ოქტომბერი. 1896–1897 ხუთშაბათი, 23 ოქტომბერი. № 349.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ იპირველ გვერდზე 10 კაპ
მეოთხეზე 5 კაპ.
Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

სათავად-აზნაურო თეატრი
ხუთშაბათს, 23 ოქტომბერს
გაიმართება წარმოდგენა საქვეყნოდ განთქმულის და ცნობილის
ლიუმიერის სინემატოგრაფისა
СИНЕМАТОГРАФЪ ЛЮМІЭРА
ფელიქს ფორი პეტერბურღში და პეტერგოფში
წარმოდგენები იქნება 4 ნაწილად და 75 სურათად
ხელმწიფის დაგვირგვინებისას და რუსთ-ფრანგების დღესასწაულს
ქალების ჩხუბი ✤ ხმალში გასვლა
ადგილების ფასი დაკლებულია დასაწყისი 8½ საათზე
ბილეთები იყიდება ყოველ-დღე კასაში
(1—1) ადმინისტრატორი გ. ტ. აქსენოვი.

ხე-ტყის ქარხანა და შეშის საწყობი
თავ. ნიკოლოზ ესტატეს ძე თარხნიშვილისა
ტფილისი, ვერაზე, ოლგის ქ., მაკაროვის მამულში
იყიდება ყოველ-გვარი ხე-ტყის მასალა, შეშა მუხისა, რცხილისა, წიფლისა, ჭიჭვისა და სხვა, ქვა-ნახშირი და ჩვეულებრივი ნახშირი, ქერი.
ფასი ყველაფერზე იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი.
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ и ДРОВЯНОЙ СКЛАДЪ
Кн. Николая Евст. Тархангъ-Моуравова
Тифлисъ на Верѣ, Ольгинская улица, имѣніе Макарова (противъ Кирпичной улицы)
ПРОДАЮТСЯ:
Разные строительные матеріялы. Каменный и древесн. уголь
Дрова: грабовыя, дубовыя, чинаровыя и пр. породъ. Ячмень.
Цѣны на всѣ предметы общедоступны.
Ручательство и гарантія (30—17)

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჩაბარიანისა
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაეთმობათ.
იქვე იყიდება 3 მოქმ. დრამა პოლ ერვიესი
„ბრჭყალები“
თარგმანი ივ. მაჭავარიანისა
ფასი 30 კაპ. (24)

დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
✤✤✤✤ ფასი მასალებისა მეტად იაფია ✤✤✤✤
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩამჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: Батумъ, кн. Дим. Мачутадзе, ანუ Очемчиры, Т. Чачава.
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. (300—222)

მორთული ოთახები
„პალმირა“
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, თამამშევის სახლებში
ოთახები 50 კაპ. 2 მან. დღე-ღამე და თვეობითაც კერძო მორიგებით
იქვე მშვენიერი ზალა საგანგებოდ მორთული
სადაც გაიმართება ქორწილები, ნადიმები, მეჯლისი და აგრეთვე კრებები, რაიც მსურველთ ერთობ იაფად დაეთმობათ
მივაქცევ საზოგადოების ყურადღებას, რომ ნომრები კარგ გადასახედ ადგილზეა.
გამგებელი სანდრო თოიძე
Роскошно и изящно меблированные комнаты
„ПАЛЬМИРА“
Тифлисъ, Михайловская, домъ Тамамшева. (15—3)

საქალებო მაღაზია
პორტუგალოვისა
ტფილისი, სასახლის ქ., ს.-აზნ. ქარვასლაში
მიღებულია დიდძალი საქალებო და საბავშვო ტანთ-საცმელები, შემოდგომის წამოსასხამები 5 მან., პერელინკები 2 მან., ბავშვებისა 4 მ. ტალმები 7 მან., ტანისამოსები 12 მან., დრაფის ჟაკეტკები 9 მ., დრაფის ტალმები 14 მან., იგივე ხავერდისა 25 მ., ტყავის პერელინები 10 მან.
მაღაზიაში ამზადებენ და ჰკერავენ საქალებო შლიაპებს
მაღაზიასთან არის სახელოსნო, სადაც ყოველ-გვარ შეკვეთას ასრულებენ
მიღებულია დიდ-ძალი სხვა-და-სხვა მასალები ტანისამოსებისათვის რუსეთის და საზღვარ-გარეთის ქარხნებიდან.
ფასი ყველაფერზე იაფია
МОДНЫЙ ДАМСКІЙ МАГАЗИНЪ
Португаловой
Тифлисъ, Дворцовая, д. Грузинскаго Дворянства. ((30—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა.
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექიმი ქალი რუდენკო 10½—11½ ს. ბავშვებისა და ქალების ავადმყოფ. და ყვავილის ყვავილს.
ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11½—12 საათ. ქალთა ავადმყოფობათ.
ი. ფ. პროტასევიჩი 12—1 საათ. ყურების, ცხვირის, ყელის და გულის ტკივილებით.
ა. ფ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობით.
საღამოობით
ა. მ. პუდინოვი. 5—6 საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფ.
ბ. ა. ნავასარდიანცი 6—6½ ს.
ა. ნ. შპაკოვსკი 6—7 საათ. ნერვების, ვენერიულ და ხედაკანის ავად.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერატიებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница Д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. ბერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ვ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

# დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

21 ოქტომბერი

**პარიზი.** 20 ოქტომბერს, იმპერატორის ალექსანდრე III გარდაცვალების წლის თავზე, რუსის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი და წირვა. დაესწრნენ: პრეზიდენტი ფორის წარმომადგენელნი, მინისტრი ჰანოტო, ბარონ მორენჰეიმი და სადიპლომატო კორპუსის წევრნი.

**ვენა.** „Politische Correspodent“ აუწყებენ ბელგრადიდამ, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა სერბიის წარმომადგენელთ უცხოეთში გაუგზავნა ქაღალდი, რომელშიაც აუწყებს მათ, რომ მილანი არაფერს შუაშია სამინისტროს გამოცვლის საქმეში და რომ უსაფუძვლოდ ჰგონიათ, ვითომ მილანის იქ ყოფნას გავლენა ჰქონდეს სერბიის პოლიტიკაზე გარეთ. სერბიის პოლიტიკა განსაკუთრებით მინისტრთა ხელშია და მხოლოდ საკუთრად სერბიის პოლიტიკას მისდევენ. ამიტომაც კაბინეტი ვერ დაენდობა და მფარველობას ვერ მოსთხოვს მხოლოდ ერთს რომელსამე დიდს სახელმწიფოს. მთავრობის სურვილია—ყველა სახელმწიფოებთან ერთნაირი მეგობრული განწყობილება იქონიოს. ყოველ ღონის ძიებას ხმარობს მთავრობა, რომ სახელმწიფოს ნივთიერი მდგომარეობა გააუმჯობესოს. იგი ეცდება სავსებით შეასრულოს ყოველივე

ვალდებულებანი, რომელნიც სერბიასა აქვს ნაკისრი უცხო სამეფოთა წინაშე, და ეგრეთვე იმასაც ეცდება, რომ სახელმწიფოს ჯარი ბეჯითად ასრულებდეს თავისს დანიშნულებას.

**ლონდონი.** „Dailu Nevs“-ს დეპეშით ატყობინებენ კრიტიდამ „22 ოქტომბერს, სამჯავრო განიხილავს იმ მაჰმადიანთა საქმეს, რომელთაც ციკალარიაში სამის ქრისტიანის მოკვლა ჰბრალდებათ. სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ზომებს იხმარებენ, რომ არეულობა არ მოხდეს მაჰმადიანთა მხრით, რომელნიც ემუქრებოდნენ, სამაგიეროს ვიზამთო. ჯევათ-ფაშა დაჰპირდა ადმირალს კანევარს, რომ საქმის განხილვის დღეს ოსმალოს ჯარები ფარდულებში გვეყოლება დამწყვდეულიო“.

———ooo———

# ახალი ამბავი

*** **„ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობის“** საქმეები დღითი-დღე უკეთ მიდის. ერთ-ერთ წარსულს კრებაზედ წევრებმა გამოაცხადეს სურვილი: მალე დავამტკიცებინოთ მთავრობას წესდებაო. ის გარემოება, რომ ჯერ წესდება დამტკიცებული არა გვაქვს, ბევრს აყენებს უკან, ბევრს ეჭვს ჰგვრის: ვაი თუ წესდება არ დაგვიმტკიცონ და ამ შრომამ ტყუილ-უბრალოდ ჩაგვიაროსო. თანახმად ამ სურვილისა ხაზინადარმა და თავმჯდომარემ „ამხანაგობისამ“ მ. ნასიძემ დაამზადა წესდება, შესაფერი თხოვნა ბ. ტფილისის გუბერნატორთან და სამას ხელოსანს დაავალა, წარედგინად დანიშნულებისამებრ თხოვნა-წესდება. ორშაბათს, 20 ოქტომბერს, არჩეულნი პირნი წარუდგნენ ბ. გუბერნატორს თხოვნით. გუბერნატორს ძრიელ ესიამოვნა ხელოსნების ასეთი განძრახვა და აღუთქვა: ძრიელ მალე დაგიმტკიცებთ წესდებას, მხოლოდ საჭიროა, რომ მაზედ ორმოცმა ხელოსანთა მამასახლისმა მოაწეროს ხელიო. გუბერნატორს ისიც უბრძანებია, რომ აქამდისაც უნდა დაგეწყოთ ასეთი კარგი და სასარგებლო საქმეო. ეხლა აწერინებენ ხელს მამასახლისებს და რა შესრულდება 40 მოწერა, კვლავ წარუდგენენ წესდებას გუბერნატორს, აქამდის მოუწერია კიდეც ხელი ათს მამასახლისს.

ის სასიამოვნო ამბავიც უნდა ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ჯერ არც ოფიციალურად დამტკიცებულია „ხელოსანთა ამხანაგობა“, არც ჯერ, რასაკვირველია, საზოგადო ქარხანა აქვს და შეკვეთა ავეჯისა და სხვა ნივთებისა უკვე მოსდით. ქარხანა რომ ყოფილიყო, ეხლავე იყვნენ მსურველნი ასის თუმნის ნივთების შემკვეთელნი. სამწუხაროდ ჯერ—აბა საქმე არ დაწყობილა და თავმჯდომარე იძულებულია შემკვეთელთ უარი მოახსენოს. ამ გარემოებამ ისე წაახალისა და გაამხნევა საქმის მეთაურები, რომ აპირებენ, რამწამს წესდებას დაიმტკიცებენ, მაშინვე საქმეს შეუდგნენ და არ ელოდნენ ხუთას-ექვსასის თუმნის თანხების შედგენას.

*** **ამიერ-კავკასიაში მიწების დაფასება.** მთავრობის განკარგულებით ამიერ-კავკასიის ყველა მაზრებში დაარსებულ იქმნება, მაზრის (ან ოლქის) უფროსის თავმჯდომარეობით, დამფასებელი კომისსია, რომლის წევრებადაც იქმნებიან: ბეგარათ ინსპექტორი, მომრიგებელი შუამავალი, მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი, სააქციზო სამმართველოს წარმომადგენელი, პოლიციის ბოქაული და მემამულე. ამ კომისიამ უნდა შეაფასოს მიწები მისის შემოსავლიანობისა დაგვარად, და ამისათვის უნდა იხელმძღვანელოს იმ წესდებით, რომელსაც მალე შეიმუშავებს მთავრობა.

*** **სამკითხველოების შესახებ.** ბ. მთავარ-მართებლის კანცელარიამ გაუგზავნა ყველა გუბერნატორებს კავკასიისას ბეჭვდითის საქმის მთავარის გამგეობისაგან მიღებული „წესდება უფასო სახალხო სამკითხველოებისა და მათი თვალ-ყურის დევნება.“

*** **ცეცხლი.** გაზ. „კავკას“-ს შეუტყვია, რომ ტყიბულის ქვა-ნახშირის ქარხანა ადამწვარა.

*** **ერობის ბეგარა ამიერ-კავკასიაში.** ამ მოკლე ხანში ფინანსთა სამინისტროში განიხილეს სავარაუდო ანგარიში ამიერ-კავკასიაში ერობის ბეგარის აღრიცხვისა და განაწილებისა. 1898—1900 წლის მოსალოდნელი შემოსავალი ამ ბეგარებისაგან აღრიცხეს—3,380,069 მანათი, ხოლო ხარჯი—3,332,475 მანათი, ესე იგი 747,723 მანათით ნაკლები ვიდრე გამოანგარიშებული ჰქონდა ბ. კავკასიის მთავარ-მართებელს.

*** **ჰიგიენის სწავლება საშუალო სასწავლებლებში.** საერო განათლების სამინისტრომ ამას წინედ სთხოვა „სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საზოგადოებას, რომ მან შეიმუშავოს წეს რიგი ჰიგიენის სწავლებისა (ოჯახში გამოსადეგის) საშუალო სასწავლებლებში შემოსაღებად. ხსენებულს „საზოგადოებას“ ამ საკითხის განხილვა მიუნდვია საგანგებო კომისიისათვის ფონ-ანრეპის თავმჯდომარეობით, რომელსაც უკვე დაუმთავრებია თავისი საქმე და ამ დღეებში „საზოგადოების“ წევრთა კრება წარუდგენს ანგარიშს.

*** **შინა მრეწველობის გამოფენა პეტერბურგში.** 1798 წელს გაიმართება პეტერბურგში შინა-მრეწველობის მსოფლიო გამოფენა, იმედია, რომ ჩვენებური შინა ხელ-საქმობაც არ გამოაკლდება ამ გამოფენას.

*** **რუსეთიდამ ავსტრიაში თევზის ფქვილის გატანა.** ავსტრიის ჯართა მოიჯარადრენი დიდძალს თევზს ყიდულობენ მდ. ვოლგაზე, იქვე ახმობენ, ფქვილად აქცევენ და მიაქვთ ავსტრიაში. ეს ახალი მრეწველობა სასურველია ჩვენშიაც გავრცელდეს, რადგან თევზი ჩვენშიაც აუარებელია.

*** **ახალი ას-მანათიანი.** თებერვალსა ან მარტში 1898 წელს გამოვა სახმარებლად ქაღალდის ახალი ას-მანათიანი.

*** **ჰელსინგფორსის უნივერსიტეტი.** განზრახვა აქვს მთავრობას, რომ ჰელსინგფორსის უნივერსიტეტში სამი ახალი კათედრა გახსნას: მეურნეობის ეკონომია, მცენარეთა ფიზიოლოგია და ბაქტერიოლოგია.

*** **ქუთაისი.** ისევ ქალაქის სასწორზე. ამას წინად დაბეჭდილმა წერილმა, თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“, ქუთაისის სასწორის მწონელ-მეთვალყურის წინააღმდეგ, სწრაფი ყურადღება მიიქცია ქალაქის თვით-მმართველობისა და ის დამტვრეული გირები ყველა ახლებზედ შეიცვალა და ეხლა იმდენი გირები შეიძინეს, რომ, მგონი, თვით გამგეობის უზარმაზარი შენობის აწონაც თავისუფლად შეიძლება ჩვენს სასწორზედ. მთელი ქუთაისი სამოთხედ გადაიქცეოდა, რომ ასე ბეჯითი ყურადღებას აქცევდენ ყოველ გვარს ბეჭდურის სიტყვით სამართლიან შენიშვნას. ზემოდ ხსენებულ შემთხვევამ ცოტა არ იყოს გაგვახარა, რომ ზედ ერთი უსიამოვნება არ დართოდა,—ყურადღება-კი მიექცა ჩვენს სამართლიანს შენიშვნას, მაგრამ ნახევრად: სასწორის გირები-კი შეცვალეს და მიუმატეს, მაგრამ ამ სასწორზედ წესიერების დამცველი საკმაოდ ცნობილი თვისის „უკუღმართობით“, როგორც სოფლელები უწოდებენ ხოლმე, ისევ დარჩა და ისევ ისე თავის საკუთარის ხელით სჭრის სამართალს; სცემს სოფლის კაცებს, უზრდელად ეპყრობა გამვლელ-გამომვლელს და ხშირად თითო საათობით იგინება და ილანძღება უშვერის სიტყვებით. გამვლელ-გამომვლელი განცვიფრებაში მოდის ამ უზრდელისაგან და კვირობს, რატომ ყურადღებას არ აქცევენ ამ კაცს, რომ აქედამ გააძევონო. მაგრამ იმ დალოცვილებმა ის კი არ იციან, რომ კენჭის ჩამოტარებამდე სულ რამოდენიმე თვე დარჩა და ამ დროს კენჭოსანისაგან დაყენებული კაცის დათხოვა-კი სახიფათოა...

გარდა ზემოხსენებულისა მივაქცევ ბატონი იჯარადარის ყურადღებას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის განათება, რომ მეტის-მეტად ცუდს მდგომარეობაშია ქალაქის განათება და ფარნების სინათლემ ძრიელ იკლო. თუ ასე განაგრძო ბეჟუტვა ქუთაისის ფარნებმა იძულებული ვიქნები დაწვრილებით ავწერო შემდეგში, ამის მიზეზი.

ვინ-ჰაჲ.

*** **ს. კურდღელაური** (კახეთი) **80 წლის ქალის დაწვა ცეცხლში.** 80 წლის ქალის ელენე ჯოხარიძის სახლს უეცრად ცეცხლი წაჰკიდებია; მოხუცებულს კარში ვერ გამოუსწრია და შიგვე გამომწვარა.

*** **ბათომი.** დედათა პროგიმნაზიის დაარსების გამო. ბათომის საბჭოში წინადადება შეიტანა ხმოსანმა ნ. ი. დუმბაძემ, რომ აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რათა ბათომის დედათა მარიამის სასწავლებელი გადაკეთებულ იქმნას ექვს-კლასიან დედათა პროგიმნაზიად და თუ ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარეს, მაშინ ის სასწავლებელიც დარჩეს და პროგიმნაზიაც ვითხოვოთო.

*** **ფასანაური** (ხევი) **წიგნების კითხვა გვწყურიან!** ისე ვერ წაიკითხავთ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომ წიგნთ-საცავისა ან სამკითხველოზე არა ეწეროს-რა, ჩვენს ფასანაურს-კი სძინავს სალათას ძილით ამ მხრივ... ნუ თუ არავინ გამოჩნდა ფასანაურში ისეთი კაცი, რომ ეკისრნა ამ კეთილ საქმის შესრულება? ერთს ვისმეს რომ თავს ედო ეს კეთილი საქმე და ნება-რთვა აეღო, მაშინ ცხადია, სასურველი მიმართულება მიეცემოდა ამ განათლების სახსარს, რადგან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც აღმოგვიჩენდა დახმარებას წიგნებით, სხვა-და-სხვა გამომცემლები და კერძო განათლებული პირნიც. მაგრამ, სამწუხაროდ, საკუთარი მხნეობა და თავობა საკმარი არა გვაქვს, რომ ჩვენ, მთიულნი არ შეგვიძლიან ამ კეთილ მიზნამდე მიღწევა, თუ ვინმე გარეშე პირი—ხალხის განათლებისათვის გულ-შემატკივარი არ მოგვაწვდის ძმურად ხელს.

ალექსი ოგბაიძე

## რედაქციისაგან

**ატანაში.** ბლ. მღ. ს. ჩხაიძეს. თქვენი შენიშვნა დაიბეჭდება შემოკლებით. რაც შეეხება მოამბის დასახელებას, სწორედ მოგახსენოთ, გაგვაკვირვა ასეთმა სურვილმა და თქვენც ხომ დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენ არასოდეს არ ვიკისრებთ ვისიმე გაცემას; ეს ერთი. მეორე: წერილში თქვენს პირადობაზე არაფერი იყო, პირიქით მოამბე თქვენზე ამყარებდა იმედს, რომ თქვენისვე მეცადინეობით ეკლესია უეჭველია მალე დამთავრდებაო.


## განცხადებანი

ხაფქვავი

# წისქვილები

მზადდება ინჟენერთა იარალოვის და ალიხანოვის ქარხანაში

МУКОМОЛЬНЫЯ

**МЕЛЬНИЦЫ** паровыя, водяныя, конноприводныя

изготовляетъ какъ спеціяльность

машино-строительный заводъ инженеровъ

**Яралова и Алиханова**

въ Тифлисѣ, (6—3)

Александровская улица, собств. домъ

15-го октября вышла 10-я (октябрская) книга журнала:

годъ XVI. „**НАБЛЮДАТЕЛЬ**“ годъ XVI.

Содержаніе: 1) Въ началѣ жизни. Романъ Н. Θ. Бажина. 2) «Фокусникъ». Стихотвореніе А. В. Круглова. 3) Наша кредитная денежная система. Н. Х. Веселя. (Оконч.) 4) На покой. Стихотвореніе Л. Афанасьева. 5) Исторія одного дня. Романъ Ф. Маріонъ-Крауфорда. (Съ англійскаго). (Оконч.). 6) Подъ небомъ голубымъ. С. Лаврентьевой. 7) Залежи грузовъ на желѣзныхъ дорогахъ и организація распредѣлительныхъ бюро, какъ средство для борьбы съ ними. Н. Столпенскаго. 8) Пресыщеніе. Стихотвореніе А. Гангелина. 9) Передъ концомъ вѣка. Повѣсть А. Николаева. 10) Къ вопросу о значеніи мироваго суда и его реформѣ. (Практическая замѣтка). П. Суркова. 11) Напѣвъ бури. Стихотвореніе И. Никулина. 12) Сквозь огонь и воду. Романъ С. Орлицкаго. (Оконч.). 13) Провинціальная жизнь. (Очерки и картинки). Новаго Аргуса. 14) Сумерки. Стихотвореніе П. Петровскаго. 15) Безъ вины виноватый. Романъ Мемини, въ трехъ частяхъ. (Съ Итальянскаго). 16) Московскіе отголоски. Московскаго Старожила. 17) Два слова о М. Н. Муравьевѣ (По случаю закладки памятника ему, 3-го октября, въ Вильнѣ). Современника. 18) Политическая хроника. (Текстъ предварительнаго мирнаго договора между Греціей и Турціей.—Какъ этотъ договоръ былъ встрѣченъ въ Греціи.—Египетскій вопросъ.—Дѣла въ Австро-Венгріи и пр.). 19) Новыя книги. 20) Наши внутреннія дѣла. (Скрытое вліяніе кредитнаго рубля на фондовую биржу.—Золотое обезпеченіе размѣннаго фонда.—Петерб. городская дума.—Прелести „праздничнаго отдыха“.—„2-е общество конно-жел. дорогъ“.—Предложеніе министра нар. пр. о новыхъ высшихъ технич. училищахъ.—Московскіе профессора, дѣйствующіе на руку либавскимъ евреямъ, и проч.). 21) Фонографъ. (Фельетонъ „Наблюдателя“). 1) «И смѣхъ, и горе». (Литературныя и общественныя замѣтки). (Поминки по М. Н. Катковѣ.—Публицистическія заслуги его.—Редакторъ и министръ въ открытой войнѣ.—Злоупотребленіе пріобрѣтеннымъ авторитетомъ.—Катковъ и Аксаковъ, и пр.). Ефима Простосердова. (А. П. Пятковскаго).

**Открыта подписка на 1898 г.** (XVII г. изд.).

Журналъ выходитъ ежемѣсячно, 15-го числа (вм. 1-го), безъ предварительной цензуры, книгами отъ 25—30 печатныхъ листовъ, съ иллюстраціями. Годовая цѣна: съ доставкой и перес. въ Россіи 12 р.; за границу—14 р. полгода 6 р. съ дост. и перес. въ Россіи; за границу—7 р. За три мѣсяца 3 р. съ перес. въ Россіи; за границу—4 р.

**Подписка на текущій годъ продолжается.**

Изданіе ежедневн. газеты „Гласность“ возобновится съ 1-го декабря текущаго года, въ прежнемъ объемѣ и форматѣ («Голоса»), но по уменьшенной цѣнѣ. Подписная цѣна газеты: съ дост. и перес. 10 р. за годъ, за полгода—5 р., за 3 мѣс.—2 р. 50 к., за 1 мѣс.—1 р. За гран.: за годъ—22 р., за полгода—11 р., за 3 мѣс.—6 р., за 1 мѣс.—2 р.

Главная контора обоихъ изданій: С.-Петербургъ, Пушкинская ул., №

Редакторъ-издатель А. П. Пятковскій.

(3—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Октября 1897 г. სტამბა ქ. ი. ხელაძის, დოლის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი მალ. წუნი